




**FRIEDRICH NAUMANN  
FOUNDATION** For Freedom.

South Caucasus



# საქართველოს მონიხვალისტების ინდექსი

2023

ყოველწლიური რეიტინგული კვლევა

თბილისი, 2022 წელი

დოკუმენტი მომზადებულია „ახალი ეკონომიკური სკოლა-საქართველოს“ მიერ  
ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის  
სამხრეთ კავკასიის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით

This paper is done by New Economic School-Georgia by financial support of  
Friedrich Naumann Foundation for Freedom South Caucasus office

# შინაარსი

Anotation .....	5
პროექტის შესახებ.....	7
მეთოდოლოგია .....	9
კომპონენტები, ინდექსში არსებული მარკენებლების შეფასება და ხვედრითი წილი .....	9
ნიშნების განმარტება .....	11
გაზომვის წესი და შესაბამისი ქულები: .....	12
მონაცემების არ ქონის შემთხვევის ინტერპრეტაცია:.....	13
მონაცემთა წყაროები .....	14
კვლევას დაქვემდებარებული მუნიციპალიტეტები.....	15
ინფორმაციის მოწოდების ხარისხი .....	18
ინფორმაციის მოწოდება წლების მიხედვით .....	20
შედეგები სფეროების მიხედვით .....	21
შედეგები კატეგორიების მიხედვით .....	26
კვლევის შედეგები 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მუნიციპალიტეტისთვის .....	36
ბათუმი .....	37
თბილისი .....	39
ქუთაისი .....	41
ფოთი.....	43
რუსთავი.....	45
კვლევის შედეგები 59 თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტისთვის .....	47
შედეგები თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	48
თელავი - Telavi .....	48
საგარეჯო - Sagarejo.....	49
გურჯაანი - Gurjaani.....	50
მცხეთა - Mtskheta .....	51
კასპი .....	52

ხაშური - Khashuri .....	53
ბორჯომი - Borjomi .....	54
გორი - Gori .....	55
გარდაბანი - Gardabani.....	56
მარნეული - Marneuli .....	57
ახალციხე - Akhaltsikhe.....	58
ახალქალაქი - Akhalkalaki .....	59
წყალტუბო - Tskaltubo.....	60
ზესტაფონი - Zestaphoni.....	61
სამტრედია - Samtredia.....	62
ჭიათურა - Tchiatura .....	63
ზუგდიდი - Zugdidi.....	64
სენაკი - Senaki .....	65
ოზურგეთი - Ozurgeti .....	66
ქობულეთი - Kobuleti .....	67
კვლევაში პირველად ჩართული თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტები.....	68
რეიტინგი 59 თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტისთვის წლების მიხედვით .....	78
მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების განხორციელების ხარისხი.....	79
კვლევის რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისთვის .....	80
კვლევის რეკომენდაციები კვლევისთვის .....	80
კვლევის ძირითადი კითხვარი.....	81
5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტისთვის.....	81
20 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტისთვის.....	90
გამოყენებული ინფორმაციის წყაროები .....	102

The New School of Economics - Georgia (AESCO/NESG) is a non-governmental organization that disseminates economic knowledge, operating since 2001 and having legal registration and tax code № 200089947 since April 2003.

Our organization is implementing a research project called "Index of Municipalities of Georgia". (Municipality Index) The project was implemented in 2015 with the participation of the municipalities of Tbilisi, Rustavi, Kutaisi, Poti and Batumi. A pilot project was successfully implemented in collaboration with municipal officials, and an index survey was also successfully carried out in 12 self-governing cities in 2016-17.

In accordance with the amendments made by the Parliament of Georgia to the Local Self-Government Code in 2017, the 2018-19 index survey was again based on data from 5 named cities with self-government.

“Municipality Index” - project was implemented by New Economic School-Georgia — by the support of Friedrich Naumann Foundation for Freedom, south Caucasus office (Germany) — in 2023, as a 9th annual report since 2015.

Index is designed to measure conditions for doing business, living conditions and administration efficiency of 5 self-governed municipalities (Tbilisi, Kutaisi, Batumi, Rustavi and Poti) and 59 self-governed community municipalities of Georgia (41 of the municipalities mentioned were added for the first time this year).

The main aim of the project is to improve the economic and political conditions on local level. Hence local government policies are crucial in terms of their impact on freedom of choice, private initiative, business conditions, the allocation and use of resources, and the overall social and economic wellbeing. Also, monitoring and evaluating the performance of municipal governments is crucial.

However, civil society and opinion makers lack effective tools to measure and assess the performance of local governments and the impact of their policies on economic and social development and citizens' wellbeing.

There is an urgent need to facilitate the monitoring and assessment of local government performance by providing an effective tool and framework for driving sound and relevant policy solutions to improve municipal performance in key areas of activity and advance economic and social development.

The project Municipal Index addresses the need to promote and facilitate the monitoring and evaluation of municipal performance for greater local government efficiency, transparency, accountability, accessibility and competitiveness as well as for guaranties of private property, free enterprise and investment.

In the beginning of the year 2023 by NES-G team was developed methodology and the questioner, based on the experience of past years (15% of questions was changed or modified again).

During next 2 months after finalizing methodology and application for municipalities NES-G researchers and staffers communicated almost weekly with municipality representatives responsible on the project. During this period several meetings was organized to make the process more fruitful and clear for municipality representatives for providing research within proper and useful information and data.

The work on the Index of Municipalities of Georgia was initiated by AESCO/NESG with the support of the Open Society Georgia Foundation. In 2016, the South Caucasus office of the Friedrich Naumann Foundation and the American international network - Atlas became our project partners, from 2020 the main supporter for this project is the South Caucasus office the Friedrich Naumann Foundation for Freedom.

The Index of Municipalities of Georgia provides an opportunity to assess and compare the performance of various municipalities, the living environment and entrepreneurial activity of citizens on their territory.

The purpose of the study is to turn the index into a self-improvement mechanism in Georgia, as a guide to its improvement.

The research is carried out on the principle of subsidiarity<sup>1</sup>. Therefore, self-government should be as close as possible to each citizen and directly serve his interests. Self-government should be where individual effort is lacking. At the same time, it should not pave its way, should not replace private initiative, and should not impede entrepreneurial competition. Self-governance should be a guarantee that as many people and organizations as possible can be involved in solving all, even the most difficult problems.

The assessment of municipalities with different self-government status in Georgia is based on available indicators that can be measured in accordance with the legislation and statistics of Georgia.

---

<sup>1</sup> Subsidiarity is perhaps presently best known as a [general principle of European Union law](#). According to this principle, the Union may only act (i.e., make laws) collectively where independent action of individual countries is insufficient without equal action by other members. The principle was established in the 1992 [Treaty of Maastricht](#). However, at the local level it was already a key element of the [European Charter of Local Self-Government](#), an instrument of the [Council of Europe](#) promulgated in 1985 (see Article 4, Paragraph 3 of the [Charter](#)) (which states that the exercise of public responsibilities should be decentralized). Subsidiarity is related in essence to, but should not be confused with, the concept of a [margin of appreciation](#).

Subsidiarity was established in EU law by the [Treaty of Maastricht](#), which was signed on 7 February 1992 and entered into force on 1 November 1993. The present formulation is contained in Article 5(3) of the [Treaty on European Union](#) (consolidated version following the [Treaty of Lisbon](#), which entered into force on 1 December 2009):

„ახალი ეკონომიკური სკოლა - საქართველო“ (აესკო) ეკონომიკური ცოდნის გამავრცელებელი არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 2001 წლიდან საქმიანობს, ხოლო 2003 წლის აპრილიდან გააჩნია იურიდიული რეგისტრაცია და საგადასახადო კოდი № 200089947.

ჩვენი ორგანიზაცია ახორციელებს კვლევით პროექტს სახელწოდებით - „საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი“. პროექტი 2015 წელს განხორციელდა და მასში მონაწილეობა მიიღეს თბილისის, რუსთავის, ქუთაისის, ფოთის და ბათუმის მუნიციპალიტეტმა. მუნიციპალიტეტების ოფიციალურ წარმომადგენლებთან თანამშრომლობით მოხერხდა პროექტის საპილოტე ვარიანტის წარმატებით განხორციელება, 2016-17 წლებში ასევე წარმატებით წარიმართა ინდექსის კვლევა 12 თვითმმართველ ქალაქში.

2017 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული“ ცვლილებების შესაბამისად 2018-19 წლების ინდექსის კვლევა კვლავ დასახელებული 5 თვითმმართველი ქალაქის მონაცემებს დაეყრდნო.

2021 წელს მუნიციპალიტეტების ინდექსის კვლევა გაიყო 2 მიმართულებით. შედეგად, ინდექსის კვლევა 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მუნიციპალიტეტის გარდა საქართველოს ყველა რეგიონის 20 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტის მუშაობის ეფექტიანობის გაზომვას დაეფუძნა. როგორც საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში, ისე მათ უფლებამოსილების გარეთ არსებული, მაგრამ მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის აუცილებელი, მათი საცხოვრებელი გარემოს მონიტორინგის და მასზე რეაგირების პროცესის შეფასების ინსტრუმენტი.

„საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსზე“ მუშაობა „აესკოს“ ინიციატივითა და „ფონდი ღია საზოგადოება - საქართველოს“ მხარდაჭერით დაიწყო, 2016 წლიდან კი, ჩვენი პროექტის მთავრი პარტნიორი გერმანული ფრიდრიხ ნაუმანის ფონდის სამხრეთ კავკასიის ოფისი და ამერიკული ატლასის საერთაშორისო ქსელი გახდა.

„საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი“ იძლევა შესაძლებლობას შეფასდეს და შედარდეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მუშაობის ეფექტიანობა, მათ ტერიტორიაზე მოქალაქეთა ცხოვრებისა და სამეწარმეო საქმიანობის გარემო.

კვლევის ამოცანა არის ინდექსი იქცეს თვითმმართველობის სრულყოფის მექანიზმად საქართველოში, მისი გაუმჯობესების გზამკვლევადა.

კვლევა ხელმძღვანელობს სუბსიდიარობის პრინციპით<sup>2</sup>. შესაბამისად, თვითმმართველობა რაც შეიძლება ახლოს უნდა იდგეს თითოეულ მოქალაქესთან და უშუალოდ ემსახურებოდეს მის ინტერესებს. თვითმმართველობა უნდა იყოს

<sup>2</sup> „სუბსიდიარობა“ ლათინური სიტყვაა (Subsidium) და ნიშნავს ხელშეწყობას, დახმარებას. თავდაპირველად იგი გამოიყენებოდა სამხედრო ტერმინოლოგიაში და აღნიშნავდა იმ საბრძოლო ნაწილებს, რომლებიც აუცილებლობის შემთხვევაში ებმებოდნენ ბრძოლაში. სუბსიდიარობის პრინციპის მოქმედების არეალი საკმაოდ ვრცელია. იგი ვრცელდება როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო გაერთიანებებს შორის წარმოშობილ ურთიერთობებზე. სუბსიდიარობის პრინციპს მრავალი ასპექტი აქვს. გამოსაყოფია „სახელმწიფომ

იქ, სადაც არ არის საკმარისი ინდივიდუალური ძალისხმევა. ამავდროულად, ის გზას არ უნდა უჭრიდეს და არ უნდა ანაცვლებდეს კერძო ინიციატივას, არ უნდა აფერხებდეს სამეწარმეო კონკურენციას. თვითმმართველობა უნდა იყოს გარანტი, რომ ყველა, მათ შორის ყველაზე რთული პრობლემების გადაწყვეტაშიც კი, რაც შეიძლება მეტი კერძო პირი და ინსტიტუტი ჩაერთოს.

საქართველოს თვითმმართველობების განსხვავებული სტატუსების მქონე მუნიციპალიტეტების შეფასება ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობით და სტატისტიკით ხელმისაწვდომ და გამოვლად მაჩვენებლებს.

2021 წლიდან, კვლევა გაიყო ორ მიმართულებად და ვრცელდება 20 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტზე და 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მუნიციპალიტეტზე.

2023 წლიდან კვლევაში მონაწილე თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტების რაოდენობა გაიზარდა 59-მდე. რაც ნიშნავს კვლევის მასშტაბის გავრცელებას ყველა იმ მუნიციპალიტეტზე რომელთა ტერიტორიაზეც ვრცელდება საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქცია.

მიმდინარე წლის კვლევის განხორციელებისთვის დაგეგმილი სამუშაო განხორციელდა სამ ეტაპად:

1. პირველი გულისხმობდა მაჩვენებლების შერჩევას, კითხვარის და მეთოდოლოგიის მომზადებას და დახვეწას, როგორც მუნიციპალიტეტების შერჩევის და მათზე კვლევის ინსტრუმენტების მორგების, ისე თვითმმართველი ქალაქების ყოველწლიური ადაპტირების კუთხით.

2. მეორე - კითხვარი და მეთოდოლოგია მუნიციპალიტეტებში გაიგზავნა შესაბამისი ვადების დაცვით და მუნიციპალიტეტებთან ურთიერთკავშირის ფარგლებში.

3. მესამე - ინფორმაციის მიღება, ანალიზი, მოხსენების მომზადება და შედეგების გავრცელება ასევე შესაბამისი წესების და ვადების დაცვით მოხდა..

კითხვარი და მეთოდოლოგია შედგენილია ლიეტუვაში, თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტის<sup>3</sup> მიერ განხორციელებული პროექტის ხელმძღვანელის ბატონ ვიტაუტას ჟუკაუსკასის და მუნიციპალიტეტებში მუშაობის, ასევე თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე დიდი გამოცდილების მქონე ქართველ ექსპერტებთან ერთად, საქართველოს ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსთან არსებული ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრის მხარდაჭერით.

---

მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი საზოგადოებრივი ურთიერთობათა რეგულირებისაგან და როგორც „სათადარიგო მოთამაშე“ უნდა ჩაერიოს მხოლოდ იქ, სადაც იქნება მოთხოვნა დახმარებაზე. აქედან გამომდინარე, სუბსიდიარობა თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპი, რომლის მიხედვითაც უფლება-მოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან. და ბოლოს, საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ“ I თავის, მე-4 მუხლის, მე-4 პუნქტის მიხედვით ადგილობრივი მმართველობა უნდა განხორციელებდეს სუბსიდიარობის პრინციპით.

<sup>3</sup> მსგავსი პროექტი განხორციელდა და ხორციელდება ლიტვაში არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიტვის თავისუფალი ბაზრის ინსტიტუტის“ მიერ, რომლის ყოფილი პრეზიდენტი რემიგიუს შიმაშუსი 2015 წლიდან ვილნიუსის არჩეული მერია.



### კვლევის პერიოდი

კვლევა ეყრდნობა წლიურ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელთა მოძიებას და კონსოლიდაციას ახდენს თითოეული მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური და ემყარება ოფიციალურ წყაროებს მუნიციპალიტეტებიდან, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან და საკანონმდებლო მონაცემებს მუნიციპალიტეტების საკრებულოებიდან და საქართველოს საკანონმდებლო მაცნედან.

2023 წლის კვლევა - ეყრდნობა 2022 წლის მაჩვენებლებს.

## კომპონენტები, ინდექსში არსებული მაჩვენებლების შეფასება და ხვედრითი წილი

“საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსი“ მუნიციპალიტეტების საქმიანობას იკვლევს გარკვეული სფეროების, კატეგორიების და მაჩვენებლების მიხედვით.

თითოეული სფეროს, კატეგორიის და მაჩვენებლების რაოდენობა, ისევე როგორც თითოეული მათგანის ხვედრითი წილი განისაზღვრება ექსპერტულად და შესაძლოა შეიცვალოს წლიდან-წლამდე.

2023 წლის კვლევა ეფუძნება 3 სფეროს, 11 კატეგორიას, რომელთაგან თითოეულს მინიჭებული აქვს შესაბამისი ხვედრითი წილი, და თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში ჯამში 144, ხოლო მუნიციპალიტეტების შემთხვევაში 164 მაჩვენებელს.

### სფეროები:

○ მუნიციპალიტეტი მოსახლეობისთვის (60/76 მაჩვენებელი აფასებს იმას თუ რამდენად ადეკვატურად ემსახურება მუნიციპალიტეტი მოსახლეობას);

○ მუნიციპალიტეტი მეწარმეობისთვის (41/45 მაჩვენებელი აფასებს იმას თუ ხელს უწყობს მუნიციპალიტეტი მეწარმეობას);

○ მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა (43/43 მაჩვენებელი აფასებს იმას თუ რამდენად ეფექტიანი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტი.

### კატეგორიები:

○ კომუნალური მომსახურება - 8%;

○ ინფრასტრუქტურა და გარემო - 10 %

○ ტრანსპორტი - 8%;

○ განათლება - 8%;

○ ჯანმრთელობის დაცვა - 8%;

○ სოციალური უზრუნველყოფა - 8%;

o ინვესტიციები - 10%;

o გადასახადები - 10%;

o ბიუჯეტი - 10%;

o აქტივების მართვა - 10%;

o ადმინისტრაციული რესურსების მართვა - 10%. თითოეული სფერო ფასდება დამოუკიდებლად.

მიღებული შედეგების საფუძველზე ხდება მუნიციპალიტეტების საქმიანობის ინდექსირება და დგება საერთო რეიტინგი.

კატეგორიების მიხედვით მაჩვენებლების ჩამონათვალი და თითოეულის ხვედრითი წონა მოცემულია კითხვარში (იხ. დანართი: საქართველოს თვითმართვლობის ინდექსის კითხვარი).

თითოეული კითხვის შეფასების პრინციპის განსამარტავად გამოყენებულ ნიშნებს შემდეგი დატვირთვა აქვს:

“Y/N” ნიშანი ნიშნავს რომ არსებობს ორი შესაძლო პასუხი - დიახ/Y, როგორც დადებითი პასუხი ან არა/N, როგორც უარყოფითი პასუხი.

ნიშანი „N↑“ მიანიშნებს, რომ უარყოფითი პასუხის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება მაღალია;

ნიშანი „Y↑“ მიანიშნებს, რომ დადებითი პასუხის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება მაღალია.

ნიშანი „N“ გულისხმობს, რომ შეფასება რაოდენობრივი ხასიათისაა; ნიშანი „↓“ გულისხმობს, რომ შეფასება თანხობრივად ხდება; ნიშანი „%“ , რომ შეფასება ფარდობითი ხასიათისაა.

ნიშანი “↓↑” მიუთითებს, რომ რაც უფრო დაბალია რაოდენობრივი, თანხობრივი ან ფარდობითი მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება;

ნიშანი “↑↑” მიანიშნებს, რომ რაც უფრო მაღალია რაოდენობრივი, თანხობრივი ან ფარდობითი მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასება.

## განოჩვის წვის და შესაბამისი ქულები:

ფარდობითი მაჩვენებლები 0-დან 100-მდე ქულით ფასდება, სადაც 0, მიღებული პასუხებიდან, უარესი, ხოლო 100 - საუკეთესო შეფასებაა.

დადებითი და უარყოფითი პასუხების გაცემის აუცილებლობის შემთხვევაში, დადებითი პასუხი ფასდება 100, ხოლო უარყოფითი - 0 ქულით.

ინდექსის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგი ფორმულით დანგარიშდება: (მაჩვენებლის შეფასება=(მაქსიმუმი-მიღებული შეფასება)/(მაქსიმუმს-მინიმუმი)×100)ქულა

იმ შემთხვევაში, როცა უფრო დაბალი ქულა ნიშნავს მუნიციპალიტეტის საქმიანობის უფრო მაღალ შეფასებას მოცემულ საკითხში (↓↑).

(მაჩვენებლის შეფასება= (მიღებული შეფასება-მინიმუმი)/(მაქსიმუმს -მინიმუმი) ×100)ქულა

იმ შემთხვევაში, როცა უფრო მაღალი ქულა ნიშნავს მუნიციპალიტეტის საქმიანობის უფრო მაღალ შეფასებას შეფასება მოცემულ საკითხში (↑↑).

სადაც მინიმუმი ნიშნავს ყველაზე დაბალ შეფასებას, ხოლო მაქსიმუმი - ყველაზე მაღალ შეფასებას.

ერთსა და იმავე სფეროში მაჩვენებლებს თანაბარი ხვედრი წილი აქვთ.

მაჩვენებლების შეფასებისას მინიჭებული ქულები ცალკეული სფეროების მიხედვით ჯამდება, რის საფუძველზეც მუნიციპალიტეტს მიენიჭება ქულა ცალკეული სფეროების მიხედვით, სადაც მინიმალური მაჩვენებელია 0, ხოლო მაქსიმალური - 100.

ინდექსი გამოითვლება თითოეული სფეროს ქულის გამრავლებით შესაბამისი სფეროს ხვედრით წილზე და ამრიგად მიღებული შედეგების შეკრებით, რაც წარმოადგენს თითოეული მუნიციპალიტეტის ჯამურ ქულას.

აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, საბოლოოდ გამოიყენება კომბინირებული ფორმულა. აღნიშნულ გათვლებს მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ახორციელებს კვლევის საორგანიზაციო ჯგუფი.

*მუნიციპალიტეტებს მოეთხოვებათ მათ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოწოდება დადგენილი ვადებში.*

იმ შემთხვევაში თუ მუნიციპალიტეტი არ წარმოადგენს გარკვეულ მონაცემებს, რომელთა საფუძველზეც უნდა გაკეთდეს შეფასებები, შესაბამის მარჯვენებლებში მუნიციპალიტეტს ყველაზე დაბალი ქულა მიენიჭება.

ასეთ შემთხვევაში ყველაზე დაბალი ქულის მინიჭება მიზანშეწონილია რადგან მონაცემების წარმოდგენაზე თავის შეკავება მუნიციპალიტეტის საქმიანობის საჯაროობის მოთხოვნის დარღვევა და გამჭვირვალობის ნაკლებობის ნიშანია.

*მუნიციპალიტეტის შეფასებაში გარკვეული მარჯვენებლების გათვალისწინებაზე უარი თქმა.*

შესაძლოა, საჭირო გახდეს გარკვეული მარჯვენებლების გამოყენებაზე უარის თქმა, თუკი მუნიციპალიტეტების 2/3-ს სათანადო ცნობები არ მოიპოვება.

მონაცემები მოპოვებული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტებიდან და შედარდეს იუსტიციის სახლებიდან, საჯარო რეესტრიდან, ფინანსთა სამინისტროდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროდან, სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან<sup>4</sup> და საქართველოს საკანონმდებლო მაცნედან,<sup>5</sup> საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აღიარებული პრინციპიდან გამომდინარე.

მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაცია არ ექვემდებარება დამოუკიდებელ რევიზიას, რადგან გულისხმობს სათანადო პასუხისმგებლობას სიზუსტეზე. გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული ინფორმაციის მიმართ გაჩენილი შენიშვნები, გადასამოწმებლად გადაეგზავნება შესაბამის მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტების მხრიდან დათქმულ ვადებში წარმოდგენილი წერილობით ჩამოყალიბებული შენიშვნები კვლევის ჯგუფის მიერ არის განხილული. კვლევის საბოლოო შედეგების გამოქვეყნებამდე და გაზიარების შემთხვევაში აისახება მიმდინარე კვლევაში.

---

<sup>4</sup> სტატისტიკის ეროვნული სამსახური - <https://www.geostat.ge/ka>

<sup>5</sup> საქართველოს საკანონმდებლო მაცნე - <https://matsne.gov.ge/ka>

2023 წლის კვლევა ეხება ქვეყნის 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტის საქმიანობას 2023 წლის მონაცემების მიხედვით.

1. თბილისი - Tbilisi
2. ქუთაისი - Kutaisi
3. რუსთავი - Rustavi
4. ბათუმი - Batumi
5. ფოთი - Poti

2023 წლის კვლევა ასევე ეხება 59 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტს საქართველოს ყველა რეგიონიდან.

1. თელავი - Telavi
2. საგარეჯო - Sagarejo
3. გურჯაანი - Gurjaani
4. მცხეთა - Mtskheta
5. კასპი - Kaspi
6. ხაშური - Khashuri
7. ბორჯომი - Borjomi
8. გორი - Gori
9. გარდაბანი - Gardabani
10. მარნეული - Marneuli
11. ახალციხე - Akhaltsikhe
12. ახალქალაქი - Akhalkalaki
13. წყალტუბო - Tskaltubo
14. ზესტაფონი - Zestaphoni
15. სამტრედია - Samtredia
16. ჭიათურა - Tchiatura
17. ზუგდიდი - Zugdidi
18. სენაკი - Senaki
19. ოზურგეთი - Ozurgeti
20. ქობულეთი - Kobuleti
21. შუაქევი - Shuakhevi
22. დმანისი - Dmanisi

23. ქედა - Keda
24. ჩოხატაური - Chokhatauri
25. ყვარელი - Kvareli
26. საჩხერე - Sachkhere
27. ხულო - Khulo
28. წალენჯიხა - Tsalenjikha
29. ხარაგაული - Kharagauli
30. ნინოწმინდა - Ninotsminda
31. თერჯოლა - Terjola
32. ვანი - Vani
33. ხობი - Khobi
34. ხონი - Khoni
35. ბაღდათი - Baghdati
36. ხელვაჩაური - Khelvachauri
37. ცაგერი - Tsageri
38. ასპინძა - Aspindza
39. აბაშა - Abasha
40. ადიგენი - Adigeni
41. ახმეტა - Akhmeta
42. ბოლნისი - Bolnisi
43. დედოფლისწყარო - Dedoplistskaro
44. დუშეთი - Dusheti
45. თეთრიწყარო - Tetrtskaro
46. თიანეთი - Tianeti
47. ლაგოდეხი - Lagodekhi
48. ლანჩხუთი - Lanchkhuti
49. ლენტეხი - Lentekhi
50. მარტვილი - Martvili
51. მესტია - Mestia
52. ონი - Oni
53. სიღნაღი - Sighnaghi
54. ტყიბული - Tkibuli
55. ქარელი - Kareli
56. ყაზბეგი - Kazbegi



57. ჩხოროწყუ - Chkhorotsku


58. წალკა - Tsalka

59. ამბროლაური - Ambrolauri


თვითმმართველი ქალაქების და თემების მუნიციპალიტეტები ფასდება დამოუკიდებლად.

## ინფორმაციის მოწოდების ხარისხი


კვლევის ძირითადი კითხვარის შევსების ხარისხი პროცენტულად, 2023 წელს 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტების შემთხვევაში:



ინფორმაციის მოწოდების დინამიკა თვითმმართველი ქალაქების შემთხვევაში წლების მიხედვით




კვლევის ძირითადი კითხვარის შევსების ხარისხი პროცენტულად 2023 წელს 59 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტების შემთხვევაში:





## ინფორმაციის მოწოდება წლების მიხედვით


თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტების ინფორმაციის მოწოდების მაჩვენებლები პროცენტულად წლების მიხედვით:




კვლევის შედეგები 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში სფეროების მიხედვით ასე დალაგდა:




## მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა (EFFICIENCY OF MUNICIPALITY)



კვლევის შედეგები 59 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტის შემთხვევაში *სფეროების* მიხედვით ასე დალაგდა:




## მუნიციპალიტეტი მეწარმეობისთვის (Municipality for Investors)








## მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა (Efficiency of Municipality)




კვლევის შედეგები 5 თვითმმართველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტებში შემთხვევაში კატეგორიების მიხედვით ასე დალაგდა:




### განათლება (Education)




### ჯანდაცვა (Healthcare)




### სოციალური უზრუნველყოფა (Social Security)




### ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment)




### პირობები ინვესტორებისთვის (Conditions for Investment)




### საგადასახადო ტვირთი (Tax burden)




### ბიუჯეტი (Budget)





### აქტივების მართვა (Assets management)




### ადმინისტრირება (Administration)




მიხედვით ასე დალაგდა:




## ტრანსპორტი (Transport)




## განათლება (Education)



## ჯანდაცვა (Healthcare)




## სოციალური უზრუნველყოფა (Social Security)







## პირობები ინვესტორებისთვის (Conditions for Investment)




## საგადასახადო ტვირთი (Tax burden)




## ბიუჯეტი (Budget)




## აქტივების მართვა (Assets management)



## ადმინისტრირება (Administration)



### თვითმმართველობა / Municipality



## ბათუმი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსში მონაწილეობს 2015 წლიდან. მიმდინარე წლის მონაცემები მოწოდებულია ბათუმის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახურის მიერ. 2023 წლის კვლევის ძირითადი კითხვარის მიხედვით შედგენილი მონაცემები ეფუძნება 2022 წლის მაჩვენებლებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 173700 ადამიანს და შესაბამისად ყველა შეწონილი მონაცემი დაფუძნებულია ამ რაოდენობაზე.

2023 წლის კვლევისთვის ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე მთლიან მაჩვენებელთან შედარებით არის 92% ეს თავის მხრივ წინა, წლის კვლევასთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელია. ბათუმის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე 2022 წლის ინდექსში 90% იყო, 2021 წელს კი - 94.4%, 2020 წლის ინდექსში იყო მხოლოდ 99.6 %, 2019 წელს 20%, 2018 წელს იყო 20%, 2017 წ. — 95%, 2016 წ. 98%, ხოლო 2015 წ. 58%.


2023 წლის შედეგებით ბათუმი რეიტინგში მე-2 ადგილს იკავებს 53.84 ქულით, თუმცა აღსანიშნავია რომ 2022 წლის კვლევაში დაკავებული მე-2 ადგილი განისაზღვრებოდა 57.42 სარეიტინგო ქულით, რაც უკვე იძლევა ზოგადი კლების შეფასების საშუალებას. თუ გავითვალისწინებთ რომ თავის მხრივ 2021 წლის 58.83 სარეიტინგო ქულასთან შედარებით ასევე ნაკლებია და რაც აისახა კიდევ მუნიციპალიტეტის რეიტინგზე ინდექსში, თავის მხრივ ეს ორივე მაჩვენებელი 2020 წლის ბათუმის 65.49 სარეიტინგო ქულასთან შედარებით კიდევ უფრო მეტ სხვაობას აჩვენებს, რაც ზოგად გაუარესებას წინა წლების შედეგებთან შედარებით კიდევ უფრო ამძაფრებს. 2018 წელთან შედარებით ასევე დიამეტრალურად განსხვავებული შედეგია, 2017 წლის შედეგებით ბათუმი რეიტინგში მე-2 ადგილს იკავებდა 61.65 სარეიტინგო ქულით, 2016 წ. მე-3, ხოლო 2015 წელს პირველ ადგილს 61.62 ქულით.

2023 წლის სარეიტინგო კვლევაში ქ. ბათუმის შედეგები მეტწილად განაპირობა სამ სფეროში, ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment), ტრანსპორტი (Transport), განათლება (Education), პირობები ინვესტორებისთვის (Conditions for Investment), საგადასახადო ტვირთი (tax burden) ბიუჯეტი (Budget) კატეგორიების მაჩვენებლებში მიღებულმა ყველაზე მაღალმა სარეიტინგო ქულებმა.

შესაბამისად დანარჩენი კატეგორიები და შესაბამისი მაჩვენებლები არის ის მთავარი გამოწვევები რომელთა დაფარვის არეალიც უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მოტივატორად, ეს კატეგორიებია: კომუნალური მომსახურება (Utility Services), ჯანდაცვა (Healthcare), ) სოციალური უზრუნველყოფა (social security), აქტივების მართვა (Assets management) და ადმინისტრირება (Administration) .

შესაბამისად ამ მიმართულებებზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ყურადღების კონცენტრირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მაგ. პირველ ეტაპზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აღნიშნულ კატეგორიებზე) რეალურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს როგორც შემდგომი წლების კვლევებში რეიტინგის ქულების თვალსაზრისით ამ მიმართულებით, ისე უკვე არსებული მაღალი შედეგების მქონე კატეგორიებში პროგრესის მიღწევის მიმართულებითაც.

## ბათუმი - Batumi



## თბილისი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსში მონაწილეობს 2015 წლიდან. მიმდინარე წლის მონაცემები მოწოდებულია თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის ანალიტიკური განვითარების განყოფილების მიერ. 2023 წლის კვლევის ძირითადი კითხვარის მიხედვით შედგენილი მონაცემები ეფუძნება 2022 წლის მაჩვენებლებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 1241700 ადამიანს და შესაბამისად ყველა შეწონილი მონაცემი დაფუძნებულია ამ რაოდენობაზე.

2023 წლის კვლევისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე მთლიან მაჩვენებელთან შედარებით 99%-ია, ეს თავის მხრივ წინა წლის კვლევასთან შედარებით მკვეთრად გაზრდილი მაჩვენებელია. თბილისის მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მოწოდების დონე 2022 წელს - 97%, 2021 წელს - 79.9%, 2020 წელს - 81.8%, 2019 წელს - 76%, 2018 წლის ინდექსში - 76%, 2017 წელს იყო 100%, 2016 წ. - 99%, ხოლო 2015 წ. - 99%, ინფორმაციის მოწოდების ხარისხი თბილისის შემთხვევაში 2018-21 წლებში უარესდებოდა, რაც თავის მხრივ მოქმედებდა თბილისის მუნიციპალიტეტის რეიტინგზე ინდექსის კვლევაში.


2023 წლის შედეგებით თბილისი პირველ ადგილს იკავებს 67.52 სარეიტინგო ქულით, რაც უკვე მეორე შემთხვევაა კვლევის დაწყების წლიდან. 2022 წელს თბილისის მუნიციპალიტეტი ასევე პირველ ადგილს იკავებდა, 2021 წელს მე-2 ადგილს იკავებდა - 45.39 სარეიტინგო ქულით. 2020 წლის შედეგებით თბილისი რეიტინგში მე-3 ადგილს იკავებდა - 45.33 სარეიტინგო ქულით, რაც 2019 წელთან შედარებით - 42.86 გაზრდილი სარეიტინგო მაჩვენებელი იყო. 2018 წელს რეიტინგში მე-4 ადგილს იკავებდა 36.71 სარეიტინგო ქულით, 2017 წლის რეიტინგში თბილისი მე-3 ადგილს იკავებდა 60.12 სარეიტინგო ქულით (ამ წლის კვლევა ეფუძნებოდა 12 თვითმმართველი ქალაქიდან მიღებულ მონაცემებს), თბილისი 2016 წელს მე-4 იყო 39.41 ქულით, ხოლო 2015 წელს მე-2 იყო 54.69 ქულით, ჯერჯერობით თბილისის მუნიციპალიტეტისთვის 2015 წელი კვლავ რჩება მეორე საუკეთესოდ შედეგის თვალსაზრისით, რადგან ამ შემთხვევაშიც 2021 წლის მე-2 ადგილის სარეიტინგო ქულებთან მკვეთრი სხვაობაა.

2023 წლის სარეიტინგო კვლევაში ქ. თბილისის შედეგებში საუკეთესო მონაცემები უფიქსირდება 3 სფეროდან, შემდეგ კატეგორიებში: სოციალური უზრუნველყოფა (social security), და ადმინისტრირება (Administration), თუმცა ამ კატეგორიების მაჩვენებლებში მიღებული მაღალი სარეიტინგო ქულები არ აღმოჩნდა საუკეთესო რამაც დანარჩენ კატეგორიებში მიღებულ მაჩვენებლებთან ერთად საბოლოო ჯამში გავლენა ვერ მოახდინა მუნიციპალიტეტის სარეიტინგო ქულაზე.

შესაბამისად დანარჩენი 9 კატეგორია და შესაბამისი მაჩვენებლები არის ის მთავარი გამოწვევები რომელთა დაფარვის არეალიც უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მოტივატორად, ესენია - ჯანდაცვა (Healthcare), კომუნალური მომსახურება (Utility service), ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment), ტრანსპორტი (Transport), განათლება (Education), ბიუჯეტი (Budget), აქტივების მართვა (Assets management, განსაკუთრებით გამოსაყოფია კატეგორია, - საგადასახადო ტვირთი (Tax burden), რომლებშიც მუნიციპალიტეტს უარესი მაჩვენებელი აქვს.

შესაბამისად ამ მიმართულებებზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ყურადღების კონცენტრირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მაგ. პირველ ეტაპზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აღნიშნულ კატეგორიებზე და შემდგომ ეტაპზე ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული წინადადებებს და რეფორმების განხორციელება) რეალურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს, როგორც შემდგომი წლების კვლევებში რეიტინგის ქულების

გაუმჯობესების თვალსაზრისით - ამ მიმართულებით, ისე უკვე არსებული მაღალი შედეგების მქონე კატეგორიებში დადებითი დინამიკის მიღწევის მიმართულებითაც, რადგან ქ. თბილისის საბოლოო შედეგები მიმდინარე წლის რეიტინგში საშუალო შეფასებით დაბალია, როგორც სფეროების მიმართულებით ისე ცალკეული კატეგორიების რეიტინგშიც, უმთავრესი მიზეზი კი ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხია.





## ქუთაისი

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსში მონაწილეობს 2015 წლიდან. მიმდინარე წლის მონაცემები მთლიანად მოპოვებულია კვლევის ჯგუფის მიერ ან დამყარებულია ქუთაისის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ გასულ წლებში მოწოდებულ იმ ინფორმაციაზე, რომლის ცვლილება არ გამოიწვევს უარყოფით დინამიკას. 2023 წლის კვლევის ძირითადი კითხვარის მიხედვით შედგენილი მონაცემები ეფუძნება 2022 წლის მაჩვენებლებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა 2022 წელს შეადგენდა 129300 ადამიანს და შესაბამისად ყველა შეწონილი მონაცემი დაფუძნებულია ამ რაოდენობაზე.

2023 წლის კვლევისთვის ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე მთლიან მაჩვენებელთან შედარებით 36%-ია. ეს თავის მხრივ წინა წლის კვლევასთან შედარებით მკვეთრად გაუარესებული მაჩვენებელია. ქუთაისის მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მოწოდების დონე 2022 წელს იყო - 67, 2021 წელს - 82.60%, 2020 წელს - 99.3%, 2018 წლის ინდექსში იყო 85 %, 2017 წელს იყო 98%, 2016 წ. — 94%, ხოლო 2015 წ. 92%.

2023 წლის შედეგებით ქუთაისი რეიტინგში მეხუთე ადგილს იკავებს 14.60 სარეიტინგო ქულით, რაც კიდევ ერთი წლის გაუარესების შედეგია, 2022 წელს მუნიციპალიტეტი მესამე ადგილს იკავებდა 33.57 ხოლო 2021 წელს - 44.90 სარეიტინგო ქულით, რაც 2020 წელთან შედარებით (47.10 სარეიტინგო ქულა) ასევე შემცირებული სარეიტინგო მაჩვენებლები გახლდათ, 2019 წელს სარეიტინგო მაჩვენებელი იყო 62.55, 2018 წელს 52.62, 2017 წელი კვლავ რჩება ჯერჯერობით ქუთაისის საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებლად, ამ წელს ქუთაისი რეიტინგის ლიდერი იყო 66.12 სარეიტინგო ქულით, 2016 წლის რეიტინგშიც ქუთაისი ლიდერი იყო, თუმცა ნაკლები სარეიტინგო ქულით - 51.88, ხოლო 2015 წელს ქუთაისი მე-3 იყო 54.68 ქულით.


2021 წლის სარეიტინგო კვლევაში ქ. ქუთაისის შედეგები მეტწილად განაპირობა სამ სფეროში, ჯანდაცვა (Healthcare), აქტივების მართვა (assets management), და ადმინისტრირება (Administration) კატეგორიების მაჩვენებლებში მიღებულმა ყველაზე მაღალმა სარეიტინგო ქულებმა.

შესაბამისად დანარჩენი კატეგორია და შესაბამისი მაჩვენებლები არის ის მთავარი გამოწვევები რომელთა დაფარვის არეალიც უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მოტივატორად, ეს კატეგორიებია: კომუნალური მომსახურება (Utility Services), ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment), პირობები ინვესტორებისთვის (Conditions for Investment), ტრანსპორტი (Transport), განათლება (Education), საგადასახადო ტვირთი (Tax burden), ბიუჯეტი (budget).

განსაკუთრებით გამოსაყოფია მიმდინარე წლის სოციალური უზრუნველყოფის კატეგორია რომლის შესახებაც მუნიციპალიტეტმა ვერ შეძლო ინფორმაციის მოწოდება რაც მკვეთრად ნეგატიურად შეფასდა.

შესაბამისად ამ მიმართულებებზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ყურადღების კონცენტრირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მაგ. პირველ ეტაპზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აღნიშნულ კატეგორიებზე და შემდგომ ეტაპზე ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული წინადადებებს და რეფორმების განხორციელება) რეალურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს როგორც შემდგომი წლების კვლევებში რეიტინგის ქულების გაუმჯობესების თვალსაზრისით ამ მიმართულებით, ისე უკვე არსებული მაღალი შედეგების მქონე კატეგორიებში დადებითი დინამიკის მიღწევის მიმართულებითაც.

## ქუთაისი - Kutaisi



## ფოთი

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსში მონაწილეობს 2015 წლიდან. მიმდინარე წლის მონაცემები მოწოდებულია ფოთის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მიერ. კვლევის ძირითადი კითხვარის მიხედვით შედგენილი მონაცემები ეფუძნება 2022 წლის მაჩვენებლებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა მუნიციპალიტეტის მონაცემებით 2021 წელს შეადგენდა 45 000 ადამიანს და შესაბამისად ყველა შეწონილი მონაცემი დაფუძნებულია ამ რაოდენობაზე.

2023 წლის კვლევისთვის ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე მთლიან მაჩვენებელთან შედარებით 96%-ია რაც გაუმჯობესებული შედეგია თავისთავად, 2022 წელს ის - 83%-ს შეადგენდა, ეს თავის მხრივ წინა წლის კვლევასთან შედარებით მცირედით გაუმჯობესებული მაჩვენებელია, 2021 წელს მოწოდების დონე იყო 82.6%. ფოთის მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მოწოდების დონე 2020 წლის ინდექსში იყო 92.6%, 2019 წელს 89%, 2018 წლის ინდექსში იყო 89%, 2017 წელს იყო 90%, 2016 წ. — 79%, ხოლო 2015 წ. - 81%.


2023 წლის შედეგებით ფოთი რეიტინგში მესამე ადგილს იკავებს 50.69 სარეიტინგო ქულით, რაც 2022 წლის 46.68 სარეიტინგო ქულასთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია, რაც 2021 წლის შედეგებთან შედარებით მკვეთრი გაუმჯობესებაა, ფოთი 2020 წლის ინდექსში მეხუთე ადგილს იკავებდა 36.65 სარეიტინგო ქულით. ეს მაჩვენებელი ნაკლებია 2021 წლის 38.85 სარეიტინგო ქულასთან შედარებით, რაც თავის მხრივ 2020 წელთან შედარებით (51.25 სარეიტინგო ქულა) კიდევ უფრო შემცირებული მაჩვენებელი იყო. შესაბამისად ფოთის მაჩვენებელი უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში მუდმივად მცირდებოდა და მიმდინარე კვლევა დინამიკის პოზიტიურისკენ შემობრუნების მაჩვენებელია. 2018 წელი რჩება ჯერჯერობით ფოთის საუკეთესო სარეიტინგო მაჩვენებლად. 2017 წლის რეიტინგში ფოთი მე-ნადაგილს იკავებდა 51.24 სარეიტინგო ქულით (ამ წლის კვლევა ეფუძნებოდა 12 თვითმმართველი ქალაქიდან მიღებულ მონაცემებს), 2016 წელს მე-4 იყო 49.41 ქულით, ხოლო 2015 წელს ფოთი მე- 5 იყო 47.16 ქულით.

2023 წლის სარეიტინგო კვლევაში ქ. ფოთის შედეგები მეტწილად განაპირობა სამ სფეროში, საგადასახადო ტვირთი (tax burden), და ადმინისტრირების (Administration) კატეგორიების მაჩვენებლებში მიღებულმა მაღალმა სარეიტინგო ქულებმა.

შესაბამისად დანარჩენი კატეგორიები და შესაბამისი მაჩვენებლები არის ის მთავარი გამოწვევები რომელთა დაფარვის არეალიც უნდა იქცეს მუნიციპალიტეტისთვის კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავების მოტივატორად, ეს კატეგორიებია: კომუნალური მომსახურება (Utility Services), ჯანდაცვა (Healthcare), სოციალური უზრუნველყოფა (Social Security), ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment), ტრანსპორტი (Transport), განათლება (Education), აქტივების მართვა (Assets management) ბიუჯეტი (budget).

შესაბამისად ამ მიმართულებებზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ყურადღების კონცენტრირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მაგ. პირველ ეტაპზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აღნიშნულ კატეგორიებზე და შემდგომ ეტაპზე ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული წინადადებებს და რეფორმების განხორციელება) რეალურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს, როგორც შემდგომი წლების კვლევებში რეიტინგის ქულების გაუმჯობესების თვალსაზრისით - ამ მიმართულებით, ისე უკვე არსებული მაღალი შედეგების მქონე კატეგორიებში დადებითი დინამიკის მიღწევის მიმართულებითაც, რადგან ქ. ფოთის საბოლოო შედეგები მიმდინარე წლის რეიტინგში საშუალო შეფასებით საკმაოდ დაბალია, როგორც სფეროების მიმართულებით ისე ცალკეული კატეგორიების რეიტინგშიც.

## ფოთი - Poti



ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტი საქართველოს მუნიციპალიტეტების ინდექსში მონაწილეობს 2015 წლიდან. მიმდინარე წლის მონაცემები მოწოდებულია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის, ეკონომიკური განვითარების განყოფილების მიერ. 2023 წლის კვლევის ძირითადი კითხვარის მიხედვით შედგენილი მონაცემები ეფუძნება 2022 წლის მაჩვენებლებს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით 2022 წელს შეადგენდა 128 000 ადამიანს და შესაბამისად ყველა შეწონილი მონაცემი დაფუძნებულია ამ რაოდენობაზე.


2023 წლის კვლევისთვის ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მხრიდან ინფორმაციის მოწოდების დონე მთლიან მაჩვენებელთან შედარებით 57% რაც მკვეთრად გაუმჯობესებული მაჩვენებელია 2022 წლის 0%-თან შედარებით, თუმცა თუ გამოგზავნილ მონაცემებს დავეყრდნობით აღმოვაჩინოთ, რომ მუნიციპალიტეტმა კვლავ ვერ შეძლო უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მოძიება. რაც წინა წლებთან შედარებით გაუარესებული შედეგების კიდევ უფრო გაუარესებას ნიშნავს.

რუსთავის მუნიციპალიტეტიდან ინფორმაციის მოწოდების დონე 2021 წლის ინდექსში იყო 64%, 2018 წლის ინდექსში იყო 87%, 2017 წელს იყო 94%, 2016 წ. – 95%, ხოლო 2015 წ. - 91%, ინფორმაციის მოწოდების ხარისხი რუსთავის შემთხვევაში ბოლო 3 წლის მანძილზე უარესდება, რაც თავის მხრივ მოქმედებს მუნიციპალიტეტის რეიტინგზე ინდექსის კვლევაში. 2021 წლის შედეგებით რუსთავი რეიტინგში კვლავ მე-4 ადგილს იკავებს 38.89 სარეიტინგო ქულით, თუმცა 2021 წლის 44.87 სარეიტინგო ქულასთან შედარებით კლებით გამოირჩა, როცა 2021 წლის შედეგები 2020 წელთან შედარებით გაუმჯობესებული მაჩვენებელს წარმოადგენდა. 2018 წელს რუსთავი 43.8 სარეიტინგო ქულით მეხუთე ადგილზე იყო, 2017 წლის რეიტინგში რუსთავი მე-5 ადგილს იკავებდა 51.80 სარეიტინგო ქულით (ამ წლის კვლევა ეფუძნებოდა 12 თვითმმართველი ქალაქიდან მიღებულ მონაცემებს), რუსთავი 2016 წელს მე-4 იყო 43.61 ქულით, ხოლო 2015 წელს ასევე მე-4 იყო 54.29 ქულით, ჯერჯერობით რუსთავის მუნიციპალიტეტისთვის 2017 წელი რჩება საუკეთესოდ შედეგის თვალსაზრისით.

2023 წლის სარეიტინგო კვლევაში ქ. რუსთავის შედეგებში მონაცემები 3 სფეროს 11-ვე კატეგორიაში საშუალოზე დაბალი მაჩვენებლებით ხასიათდება, აქედან ორ კატეგორიაში ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment) და აქტივების მართვა (Assets management) მუნიციპალიტეტს აქვს ყველაზე უარესი მაჩვენებელი 5 თვითმმართველი ქალაქის მუნიციპალიტეტს შორის. შესაბამისად ამ კატეგორიების მაჩვენებლებში მიღებული სარეიტინგო ქულები არ აღმოჩნდა საკმარისი მუნიციპალიტეტის ეფექტიანობის წარმოსაჩენად და საბოლოო ჯამში გავლენა ვერ მოახდინა მუნიციპალიტეტის სარეიტინგო ქულაზე.

შესაბამისად ამ მიმართულებებზე მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ყურადღების კონცენტრირება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა (მაგ. პირველ ეტაპზე ამომწურავი ინფორმაციის ფლობა აღნიშნულ კატეგორიებზე და შემდგომ ეტაპზე ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით კონკრეტული წინადადებებს და რეფორმების განხორციელება) რეალურ შედეგებს მოუტანს მუნიციპალიტეტს, როგორც შემდგომი წლების კვლევებში რეიტინგის ქულების გაუმჯობესების თვალსაზრისით - ამ მიმართულებით, ისე უკვე არსებული მაღალი შედეგების მქონე კატეგორიებში დადებითი დინამიკის მიღწევის მიმართულებითაც, რადგან ქ. თბილისის საბოლოო შედეგები მიმდინარე წლის რეიტინგში საშუალო შეფასებით საკმაოდ დაბალია, როგორც სფეროების მიმართულებით ცალკეული კატეგორიების რეიტინგშიც, უმთავრესი მიზეზი კი ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხია.

## რუსთავი - Rustavi




## კვლევის შედეგები 59 თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტისთვის

2023 წლის კვლევა პირველად განხორციელდა 59-ვე თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტში. გამომდინარე კვლევის საბოლოო მიზნიდან, რომელიც გულისხმობს საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტის კვლევაში ჩართვას მიუხედავად სტატუსისა, აღნიშნული შედეგი ნამდვილად არის კვლევის აუცილებლობის კიდევ ერთი დასტური. აქედან გამომდინარე მოხდა კვლევის ძირითადი კითხვარის ადაპტაცია მუნიციპალიტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე, რაც ძირითადად გამოწვეულია საკანონმდებლო სტატუსის განსხვავებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტების მოწყობის განსხვავებული სპეციფიკისა.

შესაბამისად, 59 მუნიციპალიტეტისთვის გაგზავნილი კვლევის ძირითადი კითხვარი მორგებულ იქნა მუნიციპალიტეტების სპეციფიკას მასშტაბების თუ ადმინისტრაციული მოწყობის კუთხით, განსხვავებით თვითმმართველი ქალაქების იგივე მახასიათებლებისგან.

კვლევის 59 თვითმმართველი თემის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტი საქართველოს ყველა რეგიონიდან ყოველწლიურად მოგვემს იმ დინამიკას რასაც მუნიციპალიტეტების საკუთარი საქმიანობის შედეგად გამოიწვევენ.

მუნიციპალიტეტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის კვლევის მეთოდოლოგიით დამუშავების შედეგად კვლევის პირველი წლის შედეგები 59 მუნიციპალიტეტისთვის გრაფიკული გამოსახულებით შემდეგნაირად დალაგდა.



## შედეგები თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტების მიხედვით


### თელავი - TELAVI

2023 წელს თელავის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარს 99%-ით შეესება შეძლო, რაც ძალიან კარგ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ამ მიმართულებით. იგივე მონაცემები 2022 წ. — 99%, 2021 წ. — 98% ხოლო 2020 წ. 92% იყო, რაც მუდმივად გაუმჯობესების დინამიკაა.

2023 წლის კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის რეიტინგმა 60.71 ქულა შეადგინა რაც 2022 წლის 62.15 ქულასთან შედარებით ნაკლებია, თუმცა იგივე მაჩვენებელი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით კიდევ უფრო ნაკლებია, 2021 წელს 75.34 პუნქტი იყო (2020 წ. - 74.4), 100 ბალიან შკალაზე. მიუხედავად ამისა თელავის მუნიციპალიტეტის შედეგი 59 მუნიციპალიტეტის არასახარბიელო მონაცემებში საკმარისი აღმოჩნდა რეიტინგში პირველი ადგილის დასაკავებლად.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა - 70.37 პუნქტია, 2022 წ. — 77.59 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო - 57.86 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 57.41, 2021 წ. 50.67, ხოლო 2020 წ. - 42.16 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ - 56.06 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. იგივე - 54.78, 2021 წ. - 49.90, ხოლო 2020 წ. - 54.46.

რაც შეეხება კვლევის კატეგორიებში მუნიციპალიტეტის შედეგებს, 11 კატეგორიიდან 6-ში საშუალოზე მაღალი და მაღალი მაჩვენებლები აქვთ რაც წინა წლების დინამიკიდანაც გამომდინარეობს თუმცა მიუხედავად რეიტინგში ადგილის შენარჩუნებისა მუნიციპალიტეტის ინდექსში მცირე რეგრესული დინამიკა შეინიშნება.






## საგარეჯო – SAGAREJO

2023 წელს საგარეჯოს თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა 91%, რაც ძალიან კარგ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ამ მიმართულებით კვლევის მესამე წელს, თუ გავითვალისწინებთ რომ კვლევის პირველ წელს, 2020 წელს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ხარისხი იყო 12% ხოლო 2021 წელს იყო - 82.93%, 2022 წელს 90%.

კვლევის ძირითადი კითხვარის, მეთოდოლოგიის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ კვლევის სფეროების და მისი კატეგორიების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ან/და კვლევის ჯგუფისთვის არ მიწოდება ფასდება უარყოფითად, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხი ავტომატურად განაპირობებს მუნიციპალიტეტის უარყოფით შედეგს, რიგ მიმართულებებზე, რომლის შედეგები განსაკუთრებით ნათლად აისახა კვლევის პირველი წლის შედეგებზე.


საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.



## გურჯაანი - GURJAANI

2023 წლის გურჯაანის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალო ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 59 შევსება შეძლო, რაც საშუალოზე ოდნავ მეტია ამ მიმართულებით, 2022 წელს იყო 57%, 2021 წელს იგივე მონაცემი 54.27%-ს შეადგენდა, 2020 წელს კი 44%-ს.

რაც შეეხება კვლევის კატეგორიებში მუნიციპალიტეტის შედეგებს მეტწილად საშუალოზე დაბალია. რაც უშუალოდ მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების მუშაობის ხარისხს წარმოაჩენს. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის ეფექტიანობის სფეროს ადმინისტრირების - 73.91 კატეგორიაში მუნიციპალიტეტს საშუალოზე მაღალი მაჩვენებელი აქვს, სხვა კატეგორიებში საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის რეიტინგს საშუალოზე დაბლა სწევს.




2022 წლის მცხეთის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა 94%, 2022 წელს იყო - 98.17%, რაც 2021 წლის - 22.56%-თან შედარებით ზოგადად შეგვიძლია უმნიშვნელოვანეს გაუმჯობესებად ჩავთვალოთ ამ მიმართულებით, რადგან კვლევის პირველივე წელს იგივე მონაცემი ასევე ძალიან დაბალი იყო - 13.42%.

კვლევის ძირითადი კითხვარის, მეთოდოლოგიის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ კვლევის სფეროების და მისი კატეგორიების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ან/და კვლევის ჯგუფისთვის არ მიწოდება ფასდება უარყოფითად, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხი ავტომატურად განაპირობებს მუნიციპალიტეტის უარყოფით შედეგს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

2023 წელს, პირველი შედეგები უკვე გამოჩნდა, მცხეთის მუნიციპალიტეტი 59 მუნიციპალიტეტის რეიტინგში მე-3 ადგილზეა




## კასპი - KASPI

2023 წლის კასპის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, ძირითადად განაპირობა ინფორმაციის მოწოდების ძალიან მაღალმა ხარისხმა - 97%, რაც წინა წლის მაჩვენებლის ანალოგიურია და კარგი შედეგია ამ მიმართულებით, თუ გავითვალისწინებთ რომ კვლევის პირველ წელს ინფორმაციის მოწოდების ხარისხი მხოლოდ 12.8% იყო.

აღნიშვნას იმსახურებს მუნიციპალიტეტის მხრიდან აქტივების კატეგორიაში საშუალოზე მკვეთრად მაღალი 80.05 და საგადასახადო ტვირთის კატეგორიაში 81.96 შეფასების მიღება.

კასპის მუნიციპალიტეტის შედეგები არის დადასტურება კვლევის შედეგების თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესების ინსტრუმენტად გამოყენებისთვის და ასევე, სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა მიმართულებით უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა საკუთარი პრიორიტეტები შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.




## ხაშური - KHASHURI

2023 წელს ხაშურის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი 53.88 პუნქტი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 97%-ით შეესაბამა, რაც 2021 წლის ასევე მაღალ 95.73%-ით შეესაბამებოდა შედარებით დამატებითი ზრდაა. ეს ძალიან კარგ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ ამ მიმართულებით. კვლევის პირველ წელს ხაშურის იგივე მონაცემები 86.59% იყო.

2023 წელს კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ ჯამში 64,40 პუნქტი შეადგინა 100 ბალიან შკალაზე, 2022 წ. . მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 57,99 პუნქტია, 2022 წელს იგივე მაჩვენებელი 47.04 პუნქტი იყო, ხოლო მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია 45.93 პუნქტი 2022 წლის 49.25 პუნქტთან შედარებით. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის შედეგებმა სფეროების მიხედვით წინა წლის კვლევის შედეგებთან შედარებით ცვლილებები განიცადა, გაუმჯობესდა მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა და მუნიციპალიტეტის მეწარმეობისთვის სფეროები თუმცა გაუარესდა მუნიციპალიტეტი მოსახლეობისთვის სფერო, საბოლოო ჯამში მუშაობის გაუმჯობესების არეალი, სამივე სფეროში, ძალიან მაღალია.


განსხვავებული მაჩვენებლები ჯამში პოზიტიური დასკვნის გაკეთების საშუალებას არ იძლევა. ხაშურის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების საშუალო მაჩვენებელი გაუმჯობესების დიდ არეალზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე.



2023 წელს ბორჯომის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარს 90%-ით შევსება შეძლო, რაც მაღალ შედეგად ფასდება, 2022 წელს - 83.54%, 2021 წლის 75.61 და პირველ წელს ნაჩვენები 72%-ის შედარებით გაუმჯობესების ხარისხი თვალშისაცემია, თუმცა ეს მთლიანად მუნიციპალიტეტის საბოლოო შედეგზე დადებითად ვერ აისახება.

კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ ჯამში 67.42 პუნქტი შეადგინა, 2022 წელს - 45.61 პუნქტი იყო, 2021 წელს კი 41.51 პუნქტი, 100 ბალიან შკალაზე. მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 42.08 პუნქტია, 2022 წლის 41.01 და 2021 წლის 38.69 პუნქტთან შედარებით მცირე გაუმჯობესებაა. მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია 44.69 პუნქტია, 2022 წლის 40.01 პუნქტთან და 2021 წლის 30.01 პუნქტთან შედარებით ასევე მცირე გაუმჯობესებაა. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი ძალიან მაღალია, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ რომ წინა წლის კვლევასთან მიმართებაში მცირე გაუმჯობესება მხოლოდ ერთ სფეროს - მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა შეეხო.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების საშუალო მაჩვენებლების არეალშია რაც გაუმჯობესების დიდ არეალზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ კატეგორიებს როგორებიც არის სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი, რომელთა მაჩვენებლებიც დაბალია და შესაბამისად პირდაპირ მიანიშნებს გაუმჯობესებისთვის შესაბამისი ძალისხმევის განხორციელების მიმართულებებზე.




## გორი - Gori

2023 წელს გორის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების ძალიან დაბალმა ხარისხმა, კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონე 26.22% იყო, 2022 - 25%, ხოლო 2021 - 21.34%, რაც მეტწილად განპირობებულია გორის მუნიციპალიტეტის შესახებ ინფორმაციის სხვა ოფიციალური წყაროების არსებობით. რაც ძალიან ცუდ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ თავად მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით.

მოწოდებულმა ინფორმაციამ რეიტინგში გორის შეფასება 11.61 პუნქტით შეაფასა, 2022 წ. - 29.51.

კვლევის ძირითადი კითხვარის, მეთოდოლოგიის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ კვლევის სფეროების და მისი კატეგორიების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ან/და კვლევის ჯგუფისთვის არ მიწოდება ფასდება უარყოფითად, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხი ავტომატურად განაპირობებს მუნიციპალიტეტის უარყოფით შედეგს.


გორის მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.



2023 წელს გარდაბნის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე დაბალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 77%-ით შეესება შეძლო, რაც საშუალოზე მაღალ მაჩვენებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ და გაუმჯობესების დინამიკაც შენარჩუნებულია. ამ მიმართულებით 2022 წ. -73%, 2021 წელს 63% იყო, ხოლო პირველ წელს იგივე მონაცემი 44% იყო.

კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ ჯამში 47.27 პუნქტი შეადგინა, 2022 წ. - 37.41, რაც 2021 წლის 49.96 პუნქტთან შედარებით კვლავ კლებაა, ისედაც საშუალოზე დაბალი მაჩვენებლის. მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 33.28 პუნქტია, 2022 წ. - 46.49, ხოლო 2021 - 41.12 იყო. მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია 39.39 პუნქტია, 2022 წ. - 30.75, ხოლო 2021- 28.8 პუნქტი იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის ხარისხი მაინც საშუალოზე დაბალია და გაუმჯობესების არეალი, სამივე სფეროში, ძალიან მაღალია.

კატეგორიების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნეგატიური დინამიკა ნარჩუნდება, შესაბამისად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები საშუალოზე დაბალი მაჩვენებლების არეალშია რაც გაუმჯობესებ აუცილებლობაზე და რეაგირების გადაუდებლობაზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე.






2023 წელს მარნეულის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა 70 %, 2022 წ. - 68.29%. გასული წლების კვლევებში მარნეულის მუნიციპალიტეტის ინფორმაციის მოწოდება არ ხდებოდა. შესაბამისად კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონე 10.98% განპირობებული იყო მარნეულის მუნიციპალიტეტის შესახებ, ინფორმაციის სხვა ოფიციალური წყაროების არსებობით. რაც ძალიან ცუდ შედეგს აგენერირებდა ავტომატურად, თავად მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით. მდგომარეობა შეიცვალა 2022 წლის კვლევაში და მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით შესაძლებელი გახდა მუნიციპალიტეტის კვლევაში სრულფასოვანი ჩართვა.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 45.52 პუნქტია, 2022 წ. — 48.02 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 28.74 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. - 23.99 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 33.82 პუნქტით შეფასდა. 2022 წ. იგივე 30.56 იყო.


მარნეულის მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.



2023 წელს ახალციხის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 78.66%-ით შევსება შეძლო, რაც საშუალოზე კარგი მონაცემია, წინა წლის კვლევასთან შედარებით ეს მონაცემი გაიზარდა 2022 წ. 77.44%, 2021 წელს - 57.32%.

კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ ჯამში 65.17 პუნქტი შეადგინა რაც საშუალოზე მაღალი შედეგია 100 ბალიან შკალაზე. თუმცა მხედველობაში მისაღებია ის დინამიკა რასაც აფიქსირებს მუნიციპალიტეტი კვლევის 4 წლის განმავლობაში, 2022 წ. - 43.82, 2021 წელს 27.82 ხოლო 2022 წელს - 29.65. მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 49.20 პუნქტია რაც 2022 წ. - 43.05, 2021 წლის 29.91 პუნქტთან შედარებით კვლავ პროგრესია. მეორეს მხრივ, მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია კი საკმაოდ დაბალი მაჩვენებლით 35.07 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. - 33.16. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი ძალიან მაღალია, მეტიც მუნიციპალიტეტისთვის შესაძლებელია განისაზღვროს პრიორიტეტები.


ახალციხის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების საშუალო მაჩვენებლების არეალშია რაც გაუმჯობესების დიდ არეალზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე. განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ კატეგორიებს როგორებიც არის სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა,, ტრანსპორტი, კომუნალური მომსახურება რომელთა მაჩვენებლებიც დაბალია და შესაბამისად პირდაპირ მიანიშნებს გაუმჯობესების მიმართულებებზე.



2023 წელს ახალქალაქის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარს 75.61%-ით შეესება შეძლო, რაც წინა წლების კვლევასთან შედარებით პოზიტიური ცვლილებაა - 2022 წ. - 75%, 2021 წელს - 56.10% და ეს დადებითად აისახება მუნიციპალიტეტის შედეგებზე წინა წლების მხოლოდ საკუთარ შედეგებთან მიმართებაში, განსხვავებით რეიტინგში მუნიციპალიტეტის შედეგებისა.

2023 წლის კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ რეიტინგში ჯამში 44.53 პუნქტი შეადგინა 100 ბალიან შკალაზე. 2022 წ. - 39.44, 2021 — 22.47 და 2020 — 22.53 იყო. მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 22.97 პუნქტია, 2022 წ. - 21.40 იყო. მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია 34.22 პუნქტით შეფასდა, 2022 - 31.54. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის ხარისხი საშუალოზე დაბალია და გაუმჯობესების არეალი, სამივე სფეროში, ძალიან მაღალია.


ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლების საშუალო და საშუალოზე დაბალი მაჩვენებლების არეალშია რაც გაუმჯობესების დიდ არეალზე და აუცილებელი რეაგირების მიმართულებებზე უფრო მიაჩვენებს, ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე. ამასთან მუნიციპალიტეტს მართებს კატეგორია ტრანსპორტის და პირობები ინვესტორებისთვის მაჩვენებლების გამოსწორების მოტივაციით, რეალური გარემოს გაუმჯობესებისთვის მუშაობის პროცესში რადიკალური ცვლილებების განხორციელება.



## წყალტუბო - TSKALTUBO

2023 წელს წყალტუბოს თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა, მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 73.78%-ით შევსება შეძლო, რაც საშუალოზე მაღალი მაჩვენებელია, ამ მიმართულებით, ამასთან წინა წლებთან შედარებით მუნიციპალიტეტმა ეს მაჩვენებელი გააუარესა - 2022 წ. - 90.24%, 2021 - 85.37% იყო.

კვლევის სფეროების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეფექტიანობამ ჯამში 67.58 პუნქტი შეადგინა, 100 ბალიან შკალაზე, 2022 წ. - 47.80 იყო. მუნიციპალიტეტის დამოკიდებულების ხარისხი მეწარმეობის სფეროსადმი 17.55 პუნქტია, 2022 წ. - 46.06, 2021 წ. - 51.93 პუნქტი იყო. მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე მუნიციპალიტეტის მოტივაცია კი საშუალოზე დაბალი მაჩვენებლით 38.90 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. - 38.66, 2021 წ. - 32.18 იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი ძალიან მაღალია, მეტიც მუნიციპალიტეტს მოეთხოვება მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე გაწეულ საკუთარ ძალისხმევას ცვლილებების კუთხით გადახედოს. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები საშუალო მაჩვენებლების არეალშია, რაც გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობაზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ კატეგორიების როგორებიც არის სოციალური უზრუნველყოფა, ინფრასტრუქტურა და გარემო და პირობები ინვესტორებისთვის, რომელთა მაჩვენებლებიც დაბალია და აჩვენებს თუ რა მიმართულებებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი მუნიციპალიტეტმა.




2023 წელს გესტაფონის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების 100%-იანმა ხარისხმა, კვლევის ფარგლებში წინა წლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონის ცვლილება ასეთი იყო 2022 წ. 73.78 2021 წ. 82.93%, თუმცა კვლევის პირველი წლის მონაცემთან - 14.02%, შედარებით მიღწეულია მოწოდების სრული შედეგი.

2023 წლის კვლევის მთლიანად შედეგების რეიტინგში გესტაფონის მაჩვენებელი საშუალოზე მაღალია 59.16 რაც 2022 წლის 37.58 პუნქტთან შედარებით მკვეთრი წინსვლაა და მეორე შედეგია მთლიანად ინდექსში. ამასთან წინა წლებთან შედარებით კვლავ მეტწილად ნეგატიური შეფასების საფუძველია (2021 — 43.01 და 2020 — 5.25).

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 65.23 პუნქტია, 2022 წ. — 43.86 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 65.47 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 22.09 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 53.00 პუნქტით შეფასდა. 2022 წ. იგივე 40.02 იყო.

გესტაფონის მუნიციპალიტეტის შედეგები არის დასტური იმ ტენდენციის რაც იკვეთება კვლევის შედეგებში, ყოველწლიურად ინფორმაციის მოწოდების ხარისხთან დაკავშირებით და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.




2023 წელს სამტრედიის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების 66%-ანმა ხარისხმა, კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონე 2022 წ. 24.39%, 2021 წ. - 20.73% მკვეთრად გაუმჯობესებულია. თუმცა აღნიშნული პოზიტიური შეფასება მუნიციპალიტეტის შედეგებზე არ აისახება.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 58.03 პუნქტია, 2022 წ. — 9.68 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 11.02 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 4.60 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 35.98 პუნქტით შეფასდა. 2022 წ. იგივე 6.87 იყო.

კვლევის ძირითადი კითხვარის, მეთოდოლოგიის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ კვლევის სფეროების და მისი კატეგორიების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ან/და კვლევის ჯგუფისთვის არ მიწოდება ფასდება უარყოფითად, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხი ავტომატურად განაპირობებს მუნიციპალიტეტის უარყოფით შედეგს კვლევაში.

შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.




## ჭიათურა - TCHIATURA

2023 წელს ჭიათურის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების ძალიან დაბალმა ხარისხმა, კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონე 27% იყო, 2022 წ. - 23.17%, 2021 წ. - 19.51%. ეს განპირობებულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის შესახებ, ინფორმაციის სხვა ოფიციალური წყაროების არსებობით. რაც ძალიან ცუდ შედეგად შეგვიძლია ჩავთვალოთ თავად მუნიციპალიტეტთან დაკავშირებით, კვლევაში ჩართულობის კუთხით.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 7.98 პუნქტია, 2022 წ. — 9.51 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 11.55 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 7.89 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 11.69 პუნქტით შეფასდა. 2022 წ. იგივე 6.27 იყო.

კვლევის ძირითადი კითხვარის, მეთოდოლოგიის და საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილებების მიხედვით მუნიციპალიტეტის მიერ კვლევის სფეროების და მისი კატეგორიების შესახებ ინფორმაციის არ ქონა ან/და კვლევის ჯგუფისთვის არ მიწოდება ფასდება უარყოფითად, შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ ინფორმაციის მოწოდების დაბალი ხარისხი ავტომატურად განაპირობებს მუნიციპალიტეტის უარყოფით შედეგს კვლევაში.

შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.




## ზუგდიდი - ZUGDIDI

2023 წელს ზუგდიდის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა 76.83%, 2022 წ. მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარის 81.10%-ით ხოლო 2021 წ. - 78.66%-ით შეესება შეძლო, რაც მხოლოდ პოზიტიური დინამიკის შენარჩუნების მაჩვენებელია და არა გაუმჯობესების.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 49.30 პუნქტია, 2022 წ. — 48.79 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 19.66 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 43.00 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 42.68 პუნქტით შეფასდა. 2022 წ. იგივე 45.54 იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი, ძალიან მაღალია.

კატეგორიებში მუნიციპალიტეტს საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვს, მუნიციპალიტეტის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები მეწარმეობისთვის საგადასახადო ტვირთის და პირობებისთვის, ასევე აქტივების მართვის, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურა და გარემოს კატეგორიებში საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის რეიტინგს საშუალოზე დაბლა სწევს.






2023 წელს სენაკის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა 84.15%, თუმცა მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარს 2022 წ. 89.02%-ით ხოლო 2021 წ. - 97.56%-ით შეესება შეძლო, რაც ,მიუხედავად ჯამში მაღალი შედეგისა, მუნიციპალიტეტისთვის გაუარესების მაჩვენებელია.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 63.96 პუნქტია, 2022 წ. — 56.39 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 28.76 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 43.42 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 50.67 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. იგივე 48.01 იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი ძალიან მაღალია, მუნიციპალიტეტს მოეთხოვება საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე აქტიურად იმუშაოს..


სენაკის მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები საშუალო და საშუალოზე მაღალი მაჩვენებლების არეალშია, რაც გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობაზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ კატეგორიების როგორებიც არის ინფრასტრუქტურა და გარემო და პირობები ინვესტორებისთვის, საგადასახადო ტვირთი რომელთა მაჩვენებლებიც საშუალოზე დაბალია და აჩვენებს, თუ რა მიმართულებებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი მუნიციპალიტეტმა.



2023 წელს ოზურგეთის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების საშუალოზე მაღალმა ხარისხმა - 78.66%. თუმცა მუნიციპალიტეტმა კვლევის ძირითად კითხვარი 2022 წ. 98.78%-ით შევსება შეძლო, რაც მუნიციპალიტეტისთვის არის მნიშვნელოვნად გაუარესებული შედეგი.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 54.10 პუნქტია, 2022 წ. — 66.88 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 21.93 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 48.07 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 42.99 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. იგივე 43.96 იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი ძალიან მაღალია, მუნიციპალიტეტს მოეთხოვება მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესებაზე აქტიურად იმუშაოს, განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი რომ მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები 2 სფეროში მცირედით გაუარესებულია.

მუნიციპალიტეტის მაჩვენებლები საშუალო და საშუალოზე დაბალი მაჩვენებლების არეალშია, რაც გაუმჯობესების დიდ შესაძლებლობაზე და მიმართულებებზე უფრო მიანიშნებს, ვიდრე მუნიციპალიტეტის გამართულად მუშაობაზე, განსაკუთრებით ეს ეხება ისეთ კატეგორიების როგორებიც არის ინფრასტრუქტურა და გარემო, ჯანდაცვა, განათლება, რომელთა მაჩვენებლებიც საშუალოსთან ახლოს არის, საშუალოსთან შედარებით ყველაზე დაბალია პირობები ინვესტორებისთვის და ჯანდაცვა ეს კი აჩვენებს, თუ რა მიმართულებებს უნდა მიანიჭოს პრიორიტეტი მუნიციპალიტეტმა.




2023 წელს ქობულეთის თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტის ამგვარი შედეგი კვლევაში, განაპირობა ინფორმაციის მოწოდების მაღალმა ხარისხმა 85.98%, იგივე 2022 წ. 84.76%, ხოლო 2020-21 წწ. კვლევის ფარგლებში დაფიქსირებული ინფორმაციის მოწოდების დონე 14.02% იყო, რაც ძირითადად განპირობებული იყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის შესახებ, ინფორმაციის სხვა ოფიციალური წყაროების არსებობით. რაც ძალიან ნეგატიურ შედეგს იწვევდა თავად მუნიციპალიტეტის კვლევაში ჩართულობასთან დაკავშირებით, თუმცა უკანასკნელი 2 წლის მონაცემებით დინამიკა პოზიტიურია.

2023 წლის კვლევაში მუნიციპალიტეტის ეფექტიანობა 48.01 პუნქტია, 2022 წ. — 49.36 იყო. მუნიციპალიტეტის მიერ მეწარმეობისთვის შექმნილი გარემო 47.45 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. — 40.50 იყო. ხოლო მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი მოსახლეობის საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა მხოლოდ 45.04 პუნქტით შეფასდა, 2022 წ. იგივე 40.72 იყო. აღნიშნული მაჩვენებლები აჩვენებს რომ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაუმჯობესების არეალი, ძალიან მაღალია.

რიგ კატეგორიებში მუნიციპალიტეტს საშუალოზე მაღალი მაჩვენებლები აქვს, მუნიციპალიტეტის საშუალოზე დაბალი მაჩვენებლები პირობები ინვესტორებისთვის, ჯანდაცვის და ინფრასტრუქტურა და გარემოს კატეგორიებში საერთო ჯამში მუნიციპალიტეტის რეიტინგს საშუალოზე დაბლა სწევს.

შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხელმისაწვდომი შედეგები არის ამის დასტური და სამომავლოდ პირდაპირ გვიჩვენებს, თუ რა უნდა შეცვალოს მუნიციპალიტეტმა შედეგების და მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.




## კვლევაში პირველად ჩართული თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტები



2023 წლის კვლევაში ჩართული იქნა 59 თვითმმართველი თემის მუნიციპალიტეტი, აქედან 39 თემის მუნიციპალიტეტისთვის ჩვენს კვლევაში მონაწილეობის პირველი წელი იყო. აღსანიშნავია, რომ ახლად ჩართული მუნიციპალიტეტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ (37) დაადასტურა კვლევაში მონაწილეობის შესახებ, თუმცა აქედან მხოლოდ 19 თემის მუნიციპალიტეტმა შეძლო კვლევის ძირითადი კითხვარის შევსება და კვლევაში უშუალოდ მონაწილეობის მიღება.

დანარჩენი თემის მუნიციპალიტეტების მიმდინარე წელს არ შეფასდა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის რეგიონალური სტატისტიკის მონაცემები და ასევე, საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს წყაროები იძლევა საშუალებას კვლევის განხორციელებისთვის აუცილებელი მონაცემების მინიმალურ დონესთან შედარებით მეტი (დაახლოებით 56-61%) ინფორმაციის მოპოვების საშუალებას.


2023 წელს ჩართული თემის მუნიციპალიტეტების მიერ კვლევის პირველივე წლის მოწოდებული ინფორმაციის მოცულობის დინამიკა ასეთია:




ახლად ჩართული თემის მუნიციპალიტეტების შედეგები სფეროების და კატეგორიების მიხედვით:




## დმანისი - Dmanisi




## ვანი - Vani




## თერჯოლა - Terjola




## ნინოწმინდა - Ninotsminda



## საჩხერე - Sachkhere




## ქედა - Keda







## ყვარელი - Kvareli




## შუახევი - Shuakhevi




## ჩოხატაური - Chokhatauri




## ცაგერი - Tsageri




## წალენჯიხა - Tsalenjikha




## ხარაგაული - Kharagauli




## ხელვაჩაური - Khelvachauri




## ხობი - Khobi




## ხონი - Khoni



## ხულო - Khulo



# რეიტინგი 59 მკითხველთა მიერ თემის მუნიციპალიტეტისთვის წლების მიხედვით



## მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებების განხორციელების ხარისხი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებები სრული და ექსკლუზიურია. მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების მოცულობა (ფარგლები) და განხორციელების წესი შეიძლება განისაზღვროს მხოლოდ ადგილობრივი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონი პირდაპირ მიუთითებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების რეგულირების შესაძლებლობაზე.

ამის გარდა, კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტებს შესაძლოა ჰქონდეთ დელეგირებული უფლებამოსილებები, რომელთა გადაცემა სახელმწიფოს და ავტონომიური ერთეულის ხელისუფლების ორგანოების პრეროგატივაა და ხორციელდება მართვის ეფექტიანობის გაზრდის მოტივით.

კანონმდებლობის მიერ მოწესრიგებული გარემო ყოველთვის ვერ ახერხებს პრობლემების პრევენციას საზოგადოების განვითარების ყოველდღიურ პროცესში, ამას ადასტურებს აღნიშნული კვლევა. აღნიშნული მიმართულებით პრობლემური ვითარება შეიძლება ნიშნავდეს: 1. სახელმწიფო ცენტრალური მართვის ეფექტიანობის გართულებას და 2. ადგილობრივი თვითმმართველობის მართვის ეფექტიანობის გართულებას. აღნიშნულის მკაფიო დადასტურებაა მუნიციპალიტეტების მიერ საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების ეფექტიანობის შეფასება 100 ბალიან შკალაზე.



## კვლევის რეკომენდაციები მუნიციპალიტეტებისთვის

- მუნიციპალიტეტის ჩართულობის გაზრდა კვლევის მთავარ ეტაპებზე
- ნაკლული ინფორმაციის მოძიება;
- მეტი აკურატულობა ინფორმაციის მოწოდებისას;
- მუდმივად გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე კვლევისთვის საჭირო ინფორმაცია, მათ შორის: ეკონომიკური საქმიანობის, განათლების, ჯანდაცვის, საბანკო, ენერგეტიკული, ინფრასტრუქტურის და სხვა მიმართულებებით;
- შიდა მუნიციპალური სტატისტიკის წარმოების დაწყება
- საგადასახადო შემოსავლების, საბიუჯეტო და ფინანსური ინფორმაცია.
- ქონების კლასიფიკაცია/რეგისტრაცია
- საჭიროა მეტი თანამშრომლობა ცალკეულ სამსახურებსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის ინფორმაციის გაცვლისა და გაზიარებისთვის;
- მეტი მომთხოვნელობა ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის ხარისხის მიმართ.
- მუნიციპალიტეტის საკრებულოებისთვის შესაბამისი ადგილობრივი საკანონმდებლო ინიციატივის მიწოდება;
- მუნიციპალიტეტის საკრებულოების მიერ შესაბამისი დე/რეგულაციების მიღება ადგილობრივი საკანონმდებლო გარემოს გამარტივება გაუმჯობესების მიზნით;
- საბილეთე/საცდელი ინოვაციური პროექტების ინიცირება სხვადასხვა მიმართულებით, კერძო სექტორის ჩართულობის წასახალისებლად.

## კვლევის რეკომენდაციები კვლევისთვის

- კვლევის ძირითადი კითხვარის პერიოდული ოპტიმიზაცია (კითხვების დამატება ან გამოკლება);
- კვლევის გაფართოება სხვა მუნიციპალიტეტებზე;
- ახალი ინიციატივებისადმი გახსნილობა;
- შემდგომი თანამშრომლობის სისტემატიზება;
- ტრენინგები მუნიციპალიტეტებისთვის ინფორმაციის მოპოვებასა და დამუშავებაში, აგრეთვე მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის რეფორმების დაგეგმვაში;
- მეტი საჯარო კომუნიკაცია – მათ შორის მედიის ჩართულობის გაზრდა;
- კვლევის პოლიტიკური წონის გაზრდა – მუნიციპალიტეტის საქმიანობის შეფასების გარკვეულ საფუძვლად ქცევა.



5 თვითმგარტველი ქალაქის სტატუსის მქონე მუნიციპალიტეტისთვის

*ინფორმაციის განახლების თარიღი*

*მუნიციპალიტეტის დასახელება*

*პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი.*

*თანამდებობა*

*პირადი ტელეფონი (მობილური)*

*სამსახურებრივი ტელეფონი*

*ელექტრონული ფოსტის მისამართი (Email)*

*მოსახლეობის რაოდენობა 2021 წლის ბოლოსთვის (საყოველთაო აღწერის მიხედვით წყარო:*

*[http://census.ge/files/results/Census%20Release\\_GEO.pdf](http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf))*

*მოსახლეობის რაოდენობა 2021 წლის ბოლოსთვის (მუნიციპალიტეტების ინფორმაციით)*

**კატეგორია 1. - კომუნალური მომსახურება (Utility services)**

1.1. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რამდენ პროცენტს მიეწოდებოდა (მიყვანილი იყო მომხმარებლამდე) ბუნებრივი აირი 2022 წლის ბოლოსთვის?

1.2. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემა ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდიები, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

1.3. რამდენი პროცენტით მეტი დაუჯდა მუნიციპალიტეტს ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სუბსიდირება 2022 წელს 2021 წელთან შედარებით? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდიები, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

1.4. ქონდა თუ არა მოხმარებელს ბუნებრივი აირის მომწოდებლებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

1.5. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რამდენ პროცენტს მიეწოდებოდა (მიყვანილი იყო მომხმარებლამდე) ელექტრო ენერჯია 2022 წლის ბოლოსთვის?

1.6. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს ელექტრო ენერჯიით მომარაგების სისტემა ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდიები, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

1.7. რამდენი პროცენტით მეტი დაუჯდა მუნიციპალიტეტს ელექტრო ენერჯიით მომარაგების სისტემის სუბსიდირება 2022 წელს 2021 წელთან შედარებით?

1.8. ქონდა თუ არა მოხმარებელს ელექტრო ენერჯიის მომწოდებლებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

1.9. მოსახლეობის რამდენ პროცენტს მიეწოდებოდა (მიყვანილი იყო მომხმარებლამდე) სასმელი წყალი 2022 წლის ბოლოსთვის?

1.10. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს სასმელი წყლით მომარაგების სისტემის სუბსიდირება ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდირება, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

1.11. რამდენი პროცენტით მეტი დაუჯდა მუნიციპალიტეტს სასმელი წყლით მომარაგების სისტემის სუბსიდირება 2022 წელს 2021 წელთან შედარებით? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდირება, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

1.12. ქონდა თუ არა მოხმარებელს სასმელი წყლის მომწოდებლებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

1.13. მომხმარებლის რამდენ პროცენტს მიეწოდებოდა სასმელი წყალი გრაფიკის გარეშე?

1.14. მოსახლეობის რამდენ პროცენტი სარგებლობდა კანალიზაციის სისტემით 2022 წლის ბოლოსთვის?

1.15. მოსახლეობის რამდენი პროცენტი სარგებლობდა ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მუნიციპალური მომსახურებით 2022 წლის ბოლოსთვის?

1.16. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სუბსიდირება ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდირება და დახმარებები საწარმოებს და მომხმარებლებს; შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში.)

1.17. რამდენი პროცენტით მეტი დაუჯდა მუნიციპალიტეტს ნარჩენების შეგროვების და გატანის სუბსიდირება 2022 წელს 2021 წელთან შედარებით?

1.18. ქონდა თუ არა მოხმარებელს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მუნიციპალურ და ორგანიზებულ კერძო სერვისებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა?

1.19. რამდენი სანოტარო ბიურო იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000 სულ მოსახლეზე 2022 წლის ბოლოსთვის? კატეგორია

## 2. - ინფრასტრუქტურა და გარემო (Infrastructure and environment)

3.1. რამდენი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი, მეტრო, საბაგირო და სხვ.) ჯამური სამგზავრო ადგილი (მუნიციპალური და კერძო) ათას მოსახლეზე 2022 წლის ბოლოსთვის?

3.2. როგორი იყო კერძო სექტორის სამგზავრო ადგილების ხვედრითი წილი ზოგადად საზოგადოებრივ ტრანსპორტში სამგზავრო ადგილებთან შედარებით 2022 წლის ბოლოსთვის?

3.3. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის სუბსიდირება ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდირება, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

3.4. რამდენ მგზავრს მოემსახურა 2022 წელს მუნიციპალური სამგზავრო ტრანსპორტი 1000 სულ მოსახლეზე გადათვლით?

3.5. რამდენ მგზავრს მოემსახურა 2022 წელს კერძო სამგზავრო ტრანსპორტი 1000 სულ მოსახლეზე გადათვლით?

3.6. როგორი იყო მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთლიანი (კერძო და მუნიციპალური) ავტობარკის საშუალო ასაკი 2022 წელს?

3.7. როგორი იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტობარკის საშუალო ასაკი 2022 წელს?

3.8. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკინგის სისტემის რამდენი % იყო მუნიციპალიტეტის მართვაში/საკუთრებაში 2022 წელს?

3.9. როგორი იყო შშმ პირებზე ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილი მთლიან ავტოპარკში

### კატეგორია 3. - ტრანსპორტი (Transport)

3.1. რამდენი იყო საზოგადოებრივი ტრანსპორტის (ავტობუსი, მიკროავტობუსი, მეტრო, საბაგირო და სხვ.) ჯამური სამგზავრო ადგილი (მუნიციპალური და კერძო) ათას მოსახლეზე 2022 წლის ბოლოსთვის?

3.2. როგორი იყო კერძო სექტორის სამგზავრო ადგილების ხვედრითი წილი ზოგადად საზოგადოებრივ ტრანსპორტში სამგზავრო ადგილებთან შედარებით 2022 წლის ბოლოსთვის?

3.3. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის სუბსიდირება ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდიები, მათ შორის დახმარებები მომხმარებლებს, შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში).

3.4. რამდენ მგზავრს მოემსახურა 2022 წელს მუნიციპალური სამგზავრო ტრანსპორტი 1000 სულ მოსახლეზე გადათვლით?

3.5. რამდენ მგზავრს მოემსახურა 2022 წელს კერძო სამგზავრო ტრანსპორტი 1000 სულ მოსახლეზე გადათვლით?

3.6. როგორი იყო მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მთლიანი (კერძო და მუნიციპალური) ავტოპარკის საშუალო ასაკი 2022 წელს?

3.7. როგორი იყო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ავტოპარკის საშუალო ასაკი 2022 წელს?

3.8. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკინგის სისტემის რამდენი % იყო მუნიციპალიტეტის მართვაში/საკუთრებაში 2022 წელს?

3.9. როგორი იყო შშმ პირებზე ადაპტირებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის წილი მთლიან ავტოპარკში

#### კატეგორია 4. - განათლება (Education)

- 4.1. როგორი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსწავლეთა მიერ ერთიან სახელმწიფო გამოცდაზე მიღებული საშუალო შეფასება 2022 წელს? (ყველა აბიტურიენტის მიერ მიღებული ქულათა ჯამის შეფარდება ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილე აბიტურიენტების რაოდენობასთან.)
- 4.2. 2022 წელს საშუალო სკოლა დამთავრებულთა რამდენი პროცენტი გახდა სტუდენტი იმავე წელს?
- 4.3. რამდენი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს?
- 4.4. რამდენი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს?
- 4.5. როგორი იყო კერძო სკოლების ხვედრითი წილი სკოლების საერთო რაოდენობაში 2022 წელს?
- 4.6. როგორი იყო კერძო სკოლებში მოსწავლეთა ხვედრითი წილი მოსწავლეთა საერთო რაოდენობაში 2022 წელს?
- 4.7. რამდენად დააკმაყოფილა მუნიციპალურ ბაგა-ბაღებში არსებული ადგილების რაოდენობამ მათზე რაოდენობრივი მოთხოვნა 2022 წელს?
- 4.8. რამდენად აკმაყოფილებდა (%) მუნიციპალური ბაგა-ბაღები მათზე არსებულ მოთხოვნას 2022 წელს?
- 4.9. როგორი იყო კერძო ბაგა-ბაღების ხვედრითი წილი ბაღების საერთო რაოდენობაში 2022 წლის ბოლოსთვის?
- 4.10. როგორი იყო კერძო ბაგა-ბაღებში ბავშვების ხვედრითი წილი შესაბამისი ასაკის ბავშვების საერთო რაოდენობაში 2022 წლის ბოლოსთვის?

#### კატეგორია 5. - ჯანდაცვა (Healthcare)

- 5.1. როგორი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 2022 წელს?
- 5.2. როგორი იყო შობადობის მაჩვენებელი 1000 სულ მოსახლეზე 2022 წელს?
- 5.3. როგორი იყო ახალშობილთა სიკვდილიანობის დონე 2022 წელს?
- 5.4. როგორი იყო მოსახლეობის რაოდენობის ცვლილება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წლისთვის 2021 წელთან შედარებით?
- 5.5. რამდენი სამედიცინო დაწესებულება იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000 სულ მოსახლეზე 2022 წელს?
- 5.6. რამდენი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საავადმყოფოს საწოლების რაოდენობა 1000 მოსახლეზე 2022 წლის ბოლოსთვის?
- 5.7. როგორი იყო ექიმების რაოდენობა 1000 სულ მოსახლეზე 2022 წლის ბოლოსთვის?
- 5.8. როგორი იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო სამედიცინო დაწესებულებების ხვედრითი წილი სამედიცინო დაწესებულებების საერთო რაოდენობაში 2022 წლის ბოლოსთვის?
- 5.9. რა დაუჯდა მუნიციპალიტეტს ჯანდაცვის სფერო ერთ მოსახლეზე გადათვლით 2022 წელს? (პირდაპირი და არაპირდაპირი სუბსიდიები და დახმარებები საწარმოებს და მომხმარებლებს; შეკეთება და მონაწილეობა ინვესტიციებში.)
- 5.10. რამდენი ვეტერინარული დაწესებულება იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000 სულ მოსახლეზე 2022 წელს?

5.11. რამდენი სააფთიაქო დაწესებულება (ყველა პროფილის) იყო მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 1000 სულ მოსახლეზე 2022 წელს?

### კატეგორია 6. – სოციალური უზრუნველყოფა (Social Security)

6.1. როგორი იყო უმუშევრობის დონე ქალებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს?

6.2. როგორი იყო უმუშევრობის დონე ახალგაზრდებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2022 წელს?

6.3. როგორ შემცირდა უმუშევრობის დონე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინა წელთან შედარებით?

6.4. რა თანხა დაიხარჯა სოციალურ დახმარებაზე მუნიციპალური ბიუჯეტიდან დახმარების მიმღებ ერთ მოსახლეზე გადათვლით 2022 წელს? (ყველა ადგილობრივი პროგრამა: დახმარება, ვაუჩერები, ბინის შეკეთება/ქირა, ინვესტიცია, ჯანდაცვა, განათლება, ტრანსპორტი, ენერჯია, აგრარული სექტორის ვაუჩერები, სერვისები, დაზღვევა და სხვა ხარჯები.)

### კატეგორია 7. – პირობები ინვესტორებისთვის (Conditions for Investment)

7.1. რა მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე 2022 წელს?

